PDF Eraser Free

დანართი №2

ა(ა)იპ- კოლეჯი „ჰორიზონტი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“
დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი:

ნანა შათირიშვილი

(ქალაქი, წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №518601 ბრძანების (25.06.2020) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ნანა შათირიშვილი - წევრი

ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების დისტანციურად განხორციელება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ 2020 წლის 12 ივნისს წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების (განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გაუმჯობესების გეგმის შემუშავების შემდგომ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები) დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2019 წელს კოლეჯმა გაიარა რეავტორიზაცია, გადაწყვეტილების ნომერი N147, 14.08.2019, სადაც რეკომენდაცია ექსპერტების მიერ არ გაცემულა.
ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში" 18 და 19 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი აღზრდა“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების მიზნით.
ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩანიშნულია 17 ივლისს, შესაბამისად გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

–

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1. რეკომენდაცია მიეცათ, ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობა შეიძინონ გაუმჯობესების გეგმით გაწერილ ვადებში (2020 წლის 1 სექტემბრამდე), რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაასრულონ ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება 2020 წლის 12 ივნისი N 04-82
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ოზურგეთი,რუსთაველის N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, მოდულური მიდგომით ქ.ოზურგეთი რუსთაველის N 8
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	156
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	186
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	126

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ მისიაა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას მისცემს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებულია (ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ 2019-2025 წ.წ სტრატეგიული განვითარების და 2020 წლის სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმის ერთ ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. გამომდინარე იქიდან, რომ ინტეგრირებული სწავლება ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრის მიზნით წარმოადგენს 2013-2020 წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ერთერთ ამოცანას. პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად საჭირო გახადა „ჩიხების“ აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის პროფესიული სტუდენტების გადასვლას განათლების ზედა საფეხურებზე. შესაბამისად, ვინაიდან განათლების სისტემაში დაინერგა ამ ჩიხის აღმოფხვრის საშუალება ინტეგრირებული სწავლების სახით, კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს ახალ პროცესებში და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ინტეგრირებული სწავლების დანერგვით.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

სრული ზოგადი განათლება დანართი №1- ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე.

საბაზო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე

პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობის გაანგარიშებას კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს N 32/დ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ახდენს, განსახორციელებელი პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სათანადო ინვენტარით არჭურვილი ფართის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს, ბიბლიოთეკის ფონდის, მატერიალური რესურსის მიხედვით და ასევე ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 პროფესიული სტუდენტია, მათ შორის 15 ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული ლიტერატურა (ასევე ელექტრონული) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროგრამა მოიცავს სამ არჩევით მოდულს (ბარის ორგანიზება, სწრაფი კვება და ღვინის დეგუსტაცია), რომელებიც ლოგიკურ ბმაშია შინაარსობრივად სარესტორნო მომსახურების პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

კოლეჯის წესდების მე-4-ე მუხლის გ პუნქტის შესაბამისად,დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანება 2020 წლის 12 ივნისი N 04-82

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა „სარესტორნო მომსახურება“, რომელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი, კვება“ ერთ ერთი კონცენტრაციის სახელწოდებაა, შესაბამისად უშუალოდ არის დაკავშირებული სარესტორნო საქმიანობასთან, შესააბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი "სასტუმრო, რესტორანი, კვება" 10117-პ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანება „ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025);
- ✓ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ✓ ვებ.გვერდზე განთავსებული მისია;
- ✓ ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N 32/დ „ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" ბალანსზე რიცხული მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი;
- ✓ კოლეჯის წესდება;
- ✓ პროგრამის დამტკიცების აქტი - 2020 წლის 12 ივნისის N 04-82 ბრძანება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი;
- ✓ პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება"

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ა(ა)იპ კოლეჯი“ჰორიზონტს“ წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული 1AC, 1A, 3C და 1B სასწავლო გარემოები, რომლებიც შესაბამისადაა აღჭურვილი 15 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში მისაღებად, შესაბამისად 30 პროფესიული სტუდენტის შესაძლებელი იქნება ორ ცვლაში მიღება, მათ შორის 15 პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებულ სწავლებაზე. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ როგორც თეორიული, ასევე ყველა პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სწავლის შედეგების მიღწევას გეგმავს კოლეჯის საგანმანათლებლო სივრცეებში და პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა გაყვანას გეგმავს მხოლოდ მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ ფარგლებში. რაც შეეხება ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირებულ სწავლებას, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს აგრეთვე 1C გარემო ასევე 15 სტუდენტზე, კოლეჯის ინტეგრირებული მოდულების საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობის განსათავსებლად. ხოლო რაც შეეხება მატერიალურ აღჭურვილობას, მიმდინარეობს შესყიდვა, დაწესებულების წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის შესაბამისად და როგორც დისტანციური ინტერვიურების დროს აღინიშნა, უმეტესობა აღჭურვილობისა შეძენილია და დარჩენილია მხოლოდ ისეთი ხელსაწყოების შეძენა, რომელზედაც მთავრობის სპეციალური განკარგულებაა საჭირო.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ მხოლოდ გარკვეული ხელსაწყოების შეძენაა დარჩენილი, თორემ ძირითადი აღჭრვილობა **მეტწილად** უკვე შეძენილია.

რეკომენდაცია მიეცათ, ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობა შეიძინონ გაუმჯობესების გეგმით გაწერილ ვადებში (2020 წლის 1 სექტემბრამდე), რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაასრულონ ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა.

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაზე განსაზღვრულია დარგის 2 პროფესიული მასწავლებელი. ასევე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები ზოგადი და ინტეგრირებული მოდულებისთვის. კოლეჯმა შრომითი, წინარე ხელშეკრულება გააფორმა 21 პროფესიულ მასწავლებელთან, მათ შორისაა ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად შერჩეული კანდიდატები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

რომელთა შერჩევა სამინისტროსთან ერთად მოხდა და საბოლოო ვინაობა შესაბამისი ტრენინგების გავლის შემდეგ გახდება ცნობილი.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარება კვალიფიკაციის ამაღლება. მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები სრული პედაგოგიური კურსი: I მოდული: სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში; II მოდული: პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში; III მოდული: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები; IV მოდული: კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში; V მოდული: პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება. დისტანციური განხილვის დროს მოხდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გამოთხოვა და გადამოწმება. კოლეჯის მიერ შერჩეული პროფესიული მასწავლებლები აკმაყოფილებენ კოლეჯის მიერვე განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ყავს დირექტორის ბრძანებით დანიშნული დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მას აქვს შესაძლებლობა სრულფასოვნად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს და აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამის ხელმძღვანელად დასანიშნად გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული ლიტერატურა, როგოდც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. დისტანციური წარმოების პროცესში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება, რომელმაც დაადასტურა, რომ კოლეჯის თითოეულ სტუდენტსა და თანამშრომელს აქვს საბიბლიოტეკო სივრცეში დაცულ მასალასთან წვდომა.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

ა(ა) იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ აქვს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ და უკანა ეზოში გასასვლელთან, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი, ამიტომ სასწავლო რესურსებთან ფიზიკური წვდომა შესაძლებელია. ამავე დროს, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მოქმედებს კანონით დადგენილი წესისა და თავისი კომპეტენციების შესაბამისად. კოლეჯს ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების გუნდი ინტენსიურად მუშაობს სსსმ სტუდენტებთან. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმნათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამისთვის, როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, შედგენილია ბიუჯეტები, რომლებშიც მითითებულია შემოსავლების და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილი მოიცავს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსება) და ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსება).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის ივნისის ბრძანება N 04-79 პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ
- ✓ ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“
- ✓ სტრატეგიული გეგმა
- ✓ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებული ინფორმაცია
- ✓ https://evet.emis.ge/
- ✓ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2013 წლის 4 იანვრის ბრძანება #1/დ, ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2014 წლის 25 ივნისი ბრძანება #2/დ „ბიბლიოთეკით სარეგბლობის წესის დამტკიცების შესახებ“; ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #4/დ,ბიბლიოთეკის კატალოგის დამტკიცების შესახებ.ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #9/დ,ბიბლიოთეკის ელ.ფონდის დამტკიცების შესახებ.ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 22/დ „კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 4 იანვრის ბრძანება
- ✓ #1/დ,ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ“.ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N 26 „კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #9/დ,ბიბლიოთეკის ელ.ფონდის დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ცვლილების შეტანის შესახებ“, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მაისი #04-85, „კოლეჯის „ჰორიზონტი“ ბიბლიოთეკის კატალოგის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #4/დ ბრძანების დანართში ცვლილების დამატების შესახებ“.

- ✓ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2019 წლის 29 მაისის ბრძანება „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**
2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა, პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე.

შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

პროგრამის განხორციელების ხარისხის შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა, რის გამოც ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა კითხვარებს, მათი დასაქმების სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, დასწრების ოქმებს მოდულის/სასწავლო კურსის შიდა შეფასებისათვის). შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის სპეციალისტთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისი ბრძანება N04-77 ” სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- ✓ ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-68 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ კითხვარები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**
6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს ორი სახის სასწავლო გეგმას, როგორც არაინტეგრირებული ასევე ინტეგრირებული ფორმით სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროცესის წარმართვისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზეჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესი სასწავლო გეგმების მიხედვით დაიგეგმება და შედგება მეცადინეობის განრიგი.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, კოლეჯშ შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფოკუს ჯგუფებში პრობლემური თემების განხილვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებში გამოკითხვის შედეგად გამოკვეთოს არსებული პრობლემები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, ამასთან პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის საჭიროებებს, შესაბამისად პერიოდულად მოხდება გავლილი მოდულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესაფება და საჭროების შემთვევაში ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადების წარდგენა კოლეჯის დირექტორისთვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ა(ა)იპ კოლეჯში "ჰორიზონტი'' საგანმანათლებლო საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები. პროფესიული პროგრამები ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებას. ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენება ლექციური და პრაქტიკული მუშაობის დროს. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი" საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯი პროფესიული პროგრამების შეფასებას ახორციელებს პროფესიული პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საშუალებით. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები რეგულარულად ესწრებიან ლექციებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, მეცადინეობებზე და შეფასებაზე დასწრების ფორმების საშუალებით, ასევე აწარმოებენ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას შემუშავებული კითხვარის საშუალებით, საჭიროებისამებრ ხორციელდება ჯგუფის წევრები და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, შეხვედრის მიზანია სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების და სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ინდივიდუალური საჭიროებების განხილვა და მათი აღმოფხვრის გზის დაგეგმვა/განხორციელება. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კოლეჯი პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს დაწესებულების ბაზაზე, ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სარესტორნო მომსახურება“ განხორციელებისას დაგეგმილია სასწავლო ექსკურსია, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ადგილზე გაეცნობიან სამუშაო ადგილს. ამ მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. კერძოდ:

1. შპს კაფცო „პაბი-ტერასა“ ხელშეკრულება №13,11.06.2020წ.
2. შპს „ელეგანტი“ ხელშეკრულება №14,11.06.2020წ.
3. შპს „ბერმუხა“ ხელშეკრულება №15,11.06.2020წ.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ა(ა) იპ კოლეჯში ,,ჰორიზონტი'' დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; ცეცლმაქრები განთავსებულია სამივე სართულზე საევაკუაციო გეგმაზე მითითებული პირობითი აღნიშვნების შესაბამისად. თითოეულ ცეცხლმაქრთან გამოკრულია გამოყენების ინსტრუქცია. დაცულია ცეცლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯის მიერ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სამივე სართულზე.

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ პირველ, მეორე, მესამე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა;

ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სტუდენტებს და პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს ექთანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ა(ა) იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ გააჩნია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ ვიდეო სათვალთვალო სისტემა 16 ვიდეოკამერა, მათ შორის 12 შიდა გამოყენების ფერადი ვიდეო კამერა, 4 გარე გამოყენების კამერა ინფრაწითელი განათებით.

რაც შეეხება უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს, პროგრამის სპეციფიკა რაიმე განსაკუთრებულ უსაფრთხოების ზომების გატარებას არ ითვალისწინებს. C გარემოში უსაფრთხოების წესების დაცვას და შესაბამის ინსტრუქტაჟს საგანმანათლენლო პროგრამის მოდულების მიხედვით ჩაატარებენ შესაბამისი პროფესიული მასწავლებლები, ყოველი მეცადინეობის დაწყებისას. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისი ბრძანება N04-77 ” სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- ✓ მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ შპს ,, იუნაიტედ სექიურიტი’’-თან გაფორმებული ხელშეკრულება ,,ვიდეო სათვალთავალო სისტემის დამონტაჟება -გამართვის,სამუშაოების შესახებ.
- ✓ 2014 წლის, 05.08. დირექტორის ბრძანება #6/დ, კოლეჯი „ჰორიზონტის“ პირველადი დახმარების აღმოჩენისა წესის და მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2014 წლის, 05.08. დირექტორის ბრძანება #10/დ კოლეჯი „ჰორიზონტის“უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2018 წლის, 15.08. დირექტორის ბრძანება #28/დ კოლეჯი „ჰორიზონტის“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2019 წლის 21 მაისის დირექტორის ბრძანება #04-91 კოლეჯი „ჰორიზონტის“ ტერიტორიაზე(შენობა,ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაცვას, რისთვისაც ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისი ბრძანებით N04-77 ცვლილებები განხორციელდა „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში“ და რაც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას, შეფასების პროცესის განხორციელებისას და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულებების შექმნის დროს დაცული იყოს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლოანობის და ობიეტურობის პრინციპები.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის სისტემა, რაც გულისხმობს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში ვერიფიკაციას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად, რომლებიც ადგენენ შეფასების ინსტრუმენტის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, შეფასების სტანდარტებთან შესაბამისობას, ვალიდურობას და სანდოობის ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის ჯგუფი აგროვებს ინფორმაციას/მონაცემებს/მოდულის შედეგის დადასტურების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ და და მათი ანალიზის შედეგად შეიმუშვებს შესაბამის რეკომენდაციებს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის მიზნით კოლეჯში მოქმედებს შემდეგი წესი: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმეტებს, მტკიცებულებებს და შეფასების უსყისებს მოდულის მიმდინარეობის პროცესში ინახავს თავად, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს ან დამხმარე თანამშრომელს, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ განსახილველად გადასცემს საკვალიფიკაციო კომისიას. საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობის დასრულების შემდგომ კოლეჯი შეფასების ინსტრუმეტებს და მტკიცებულებებს შეინახავს 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უსყისებს უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც კოლეჯის შიდა მხადაჭერის ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, ჯგუფი ახდენს პროგრამის შეფასებას და ჯგუფში განიხილავენ მოსაზრებებს მოდულების მოდიფიცირების საჭიროებისთვის, რაც ეფუძნება კოლეჯში დანერგილ სიახლეებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას, ახალი სასწავლო მასალების შექმნას შეფასების შედეგის დადასტურების გამოცდილების ანალიზს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების საჭიროებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, კანონმდებლობისა და რეგულაციების ცვლილების ასახვას.

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი აფასებს პროფესიულ სტუდენტს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხდება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების გაცნობა და მისი ანალიზი. პროფესიულ სტუდენტთა შედეგების გაცნობა და ანალიზი ეხმარება მათი საჭიროებების გამოვლენაში, სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებაში. განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებში დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის ბრძანება N04-77 „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის მაისის ბრძანება N 04-70 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ „სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის ბრძანება „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ს ხარისხის მართვის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- ✓ მოდულის განხორციელების და შედეგის დადასტურების შეფასების კითხვარები
- ✓ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება ა(ა)იპ პროფეასიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ✓ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-68 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის,გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

22.07.2020წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---